ისტორიული არქიტექტურული კვლევა
დ. აღმაშენებლის №170



თბილისი
თებერვალი, 2020

დავით აღმაშენებლის – ყოფ. პლეხანოვის - მიხეილის პროსპექტი ისტორიული თბილისის ერთ-ერთი ძირითადი არტერიაა.

XVIII ს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს პროსპექტი არსებობს –ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის.)



ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად იყო გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია; სასტუმრო „ვეტცელი” – არქ. ბილფელდი; კინოთეატრი „აპოლო”; მარჯანიშვილის სახ. თეატრი; ყოფილი „სახალხო სახლი”, რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.

საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად, მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ, მიხეილის პროსპექტზე.



განსახილველ ტერიტორიაზე, ძირითადად XIX საუკუნის II ნახევრის სახლებია შემორჩენილი, ამასთან დავით აღმაშენებლის №189-191 XX საუკუნის 30-იანი წლების ფსევდოეროვნული არქიტექტურის ნიმუშებია – ე.წ. რკინიგზელთა სახლები (არქიტექტორი: ჩისლიევი).





დ. აღმაშენებლის №170 მოდერნის სტილის სამსართულიანი ნაგებობაა, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ისტორიული განაშენიანების სახასიათო ნიმუშია. სახლის ორივე მხარეს არსებული ძველი შენობები (№№164-180-ის ჩათვლით) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მატერებელია.

ნაგებობას, ისევე როგორც მის მიმდებარე შენობებს, რეკონსტრუქცია თბილისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში 2010-2012წწ-ში ჩაუტარდათ. განახლდა მისი ფასადის ნალესობა და აღდგა დაკარგული მხატვრული ღირებულების მქონე ელემენტები, რომლებიც კარგად იკითხება საარქივო პროექტზე.



ამავე პროექტის მიხედვით ირკვევა შენობის გეგმარებისა და სართულების მოწყობის სურათი, რომელიც პრაქტიკულად შეუცვლელია, თუმცა, ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა გაუარესებული.





ეზოს მხარეს მიმართულ ნაწილზე შენობას თითქმის აღარ აქვს შემორჩენილი პირვანდელი სახე – აუთენტური ხის გალერეა-შუშაბანდები გამოცვილია ძეგლის არქიტექტურასთან შეუსაბამო თეთრი მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრით.





შენობის ექსტერიერზე მინიმალურადაა შენახული დამახასიათებელი დეკორატიული ელემენტები – ლითონისა და ნალესი ცხაურები.







ინტერიერში ასევე ყურადღებას იპყრობს ვესტიბიულის დეკორაცია, რომელშიაც ჩართულია იონური სვეტები. სახასიათო სქელი კედლები ორ რიგად განთავსებულ შიდა სივრცეებს ტიხრავს.



შენობის სხვენი ხის კოჭებით არის შედგენილი და საკმარისად მაღალია, თუმცა, ჯერჯერობით აუთვისებელი.



დასკვნა-რეკომენდაცია

დ. აღმაშენებლის გამზირი №170, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი-შენობა რეაბილიტირებულია 2012 წ., თუმცა, შენობის ფიზიკური მდგრადობა საკმარისად რთულია და მასში სასწავლო დაწესებულების განთავსება შეუძლებელი. შესაბამისად, ძეგლის სრულყოფილი ადაპტაციისათვის შესაძლებლად მიმაჩნია მისი შიდა სივრცის და ეზოს ნაწილის ცვლილება, კერძოდ:

- შენობის ეზოსკენ მიმართული უკვე სახეცვლილი ფასადის კვლავ ტრანსფორმაცია, მისი დაგრძელება სასწავლო ოთახების დამატებისათვის შესაძლებელია ძეგლთან შესაბამისი ფორმისა და ფაქტურის მოცულობის დამატებით;
- შენობის ცენტრალურ ღერძზე ახალი ფლიგელის განთავსება არ შეუშლის ხელს ეზოს მხარეს მიმართული არქიტექტურული ნაწილის აღქმას. ამასთან, გააჩენს საშუალებას ძეგლის ადაპტაციისათვის;

- შენობის შიდა სივრცის რეკონსტრუქციისას ყურადღება უნდა მიექცეს ძეგლის კონსტრუქციული მდგრადობის გაუმჯობესებას, რისთვისაც სასურველია საყრდენი კედლების სისტემის შენარჩუნება;
- დაზიანებული კიბის მარში შესაძლებელია ჩანაცვლდეს საღი კონსტრუქციით;
- შენობის გამოუყენებელი სხვენის ადაპტაცია სასარგებლო სივრცედ სასურველია მოხდეს შესაბამისი კონსტრუქციული დასკვნის საფუძველზე. ვფიქრობ, სახურავის აწევა მასში სრულყოფილი დარბაზის მოწყობისათვის არ დააზიანებს ძეგლის საერთო იერსახეს;
- სხვენის განათებისათვის აუცილებელი ფანჯრები სასურველია განთავსდეს პარაპეტიდან შეწევით, რაც გააჩენს დამატებითი ტერასული სივრცის მოწყობის შესაძლებლობასაც.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

